


კინგსის მათემატიკის ოლიმპიადა 2020 / I ტური

მე-5 კლასი

- ჩამოთვლილთაგან, რომელ ვარიანტშია დალაგებული რიცხვები ზრდადობის მიხედვით? (უმცირესიდან უდიდესისკენ):
A. 87, 112, 132, 129 B. 67, 89, 121, 139 C. 119, 102, 67, 99
- ჩამოთვლილთაგან ამოარჩიეთ ის, რომელიც არც უმცირესია და არც უდიდესი:
A. $(29 + 11) * 2$ B. $(27 - 6) * 4$ C. $(37 - 21) * 4$
- საბამ დახატა სამი სამკუთხედი და ერთი ოთხკუთხედი, ნიკამ კი _ ერთი სამკუთხედი და ორი ხუთკუთხედი. რომელი ბიჭის ფიგურებს აქვს ჯამში უფრო მეტი კუთხე?
A. საბას ფიგურებს B. ნიკას ფიგურებს C. თანაბარი რაოდენობის კუთხეები აქვთ ჯამში
- რამდენი სხვადასხვა სამკუთხედია ნახაზზე?



A. 3 B. 5 C. 6

- რამდენით მეტია უმცირესი სამნიშნა რიცხვი, რომლის ყველა ციფრი ერთნაირია, უდიდეს ორნიშნა რიცხვზე?
A. 12-ით; B. 3-ით C. 7-ით
- მართკუთხედის სიგრძეა 12სმ. პერიმეტრი კი 28სმ. რას უდრის მართკუთხედის სიგანე?
A. 9სმ B. 2სმ C. 5სმ
- 4 მორიდან თითოეული 3-ჯერ გადახერხეს. სულ რამდენი ნაჭერი მიიღეს?
A. 19 B. 7 C. 16
- ჩამოთვლილი რიცხვებიდან: **3, 5, 6, 7, 10, 13, 26** რამდენი მათგანი უნდა შევკრიბოთ, რომ ჯამი იყოს 40?
A. 3 B. 4 C. 5
- რა ეღირება ხუთი ფუნთუშა, თუ სამი ფუნთუშა 3 ლარი ღირს?
A. 500 თეთრი B. 300 თეთრი C. 450 თეთრი
- კენტია თუ ლუწი ორი მომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამი? (5 ქულა)
A. ლუწია B. ზოგჯერ კენტია, ზოგჯერ ლუწი C. კენტია

ბონუს დავალებები

ტესტის მაქსიმალური ქულაა 100. ბონუს დავალებების ქულა ძირითადი დავალებების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.

1. მაგთის ბონუს შეკითხვა

თორნიკეს მშობლებმა შეიძინეს მაგთის ტელევიზიისა და ინტერნეტის პაკეტი და საჩუქრად მიიღეს უფასო ზარები მაგთის ნომრებზე ოჯახის წევრებს შორის. სულ რამდენ ზარს განახორციელებენ ოჯახის წევრები, თუ სულ სამნი არიან და თითოეული მათგანი ყველა დანარჩენს თითოჯერ დაურეკავს?

A. 6

B. 3

C. 9

2. ყუთში მოთავსებულია სხვადასხვა ფერის ფანქარი. მათ შორის 7 ყვითელი, 12 წითელი და 6 ლურჯი ფანქარია. მინიმუმ რამდენი ფანქარი უნდა ამოვიღოთ ყუთიდან, რომ მათ შორის აუცილებლად იყოს 4 ლურჯი ფანქარი მაინც?

A.23

B.19

C.4

3. საფულეში დევს 7 ცალი 20-თეთრიანი, 6 ცალი 50-თეთრიანი და 3 ცალი 2-ლარიანი მონეტა. მინიმუმ რამდენი ცალი უნდა ამოვიღოთ საფულედან, რომ მათ შორის აუცილებლად იყოს სამივე სახის მონეტა?

A.16

B.17

C.14